გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) აცხადებს კონკურსს „ნიკო კეცხოველის პრემიის“ მონაწილეებისთვის

NAITS-ი გაეროს სუსსათისა და სოფლის მეუნნეობის (FAO)-ს მიეი შემუშავებული ელექტრონული სისტემაა. ის აეითიანებს ინფორმაციას იმ შინაური ცხოველების შესახებ, რომელთა აღრიცხვა და რეგისტრაციაც კანონით სავალდებულოა. ელექტრონულ სისტემაში თავმოყრილია ინფორმაცია ცხოველების ადგილსამყოფელის, მათი მფლობელების ან მათზე პასუხისმგებელი პირების შესახებ, ასევე, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე - მაგალითად, აცრილები არიან თუ არა, ან როდის მიიღეს ესა თუ ის ანტიბიოტიკი. 2023 წლიდან ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის სისტემაში (NAITS) უკვე სავალდებულოა სატბორე მეუნნეობების რეგისტრაციაც.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წლევანდელი დავალება სწორედ სატბორე მეურნეობების შესახებ იქნება. გთავაზობთ კითხვებს, რომელთა საპასუხოდ ინფორმაციის მოძიებისთვის, სასკოლო თუ სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, უშუალოდ ეწვიოთ თქვენთან ახლოს მდებარე სატბორე მეურნეობებს და გაესაუბროთ ფერმერებს.

გაიცანით ფერმერები, დააკვირდით მათ მუშაობას, დაუსვით კითხვები; ეწვიეთ სატბორე მეურნეობებს მომზადებული და ფერმერების მითითებითა და წესების დაცვით, დააკვირდით თევზების ქცევას; თუ შესაძლებელი იქნება, თქვენი მოკვლევის პერიოდში გადაიღეთ ფოტოები, ჩაინიშნეთ ინფორმაცია და შემდეგ მოგვიყევით, რა ისწავლეთ.

<u>თქვენ შეგიძლიათ ქვემოთ მოცემული საკითხებიდან ერთი, ან რამდენიმე თემა ამოირჩიოთ მოსამზადებლად.</u>

მათ შესახებ მოიძიოთ ინფორმაცია და მოამზადოთ **პრეზენტაცია და/ან ვიზუალური მასალა და შესაბამისი ანგარიში** მითითებების მიხედვით:

1. გაარკვიეთ საქართველოში გავრცელებული თევზის სახეობები და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოამზადეთ პრეზენტაცია.
2. მოიძიეთ სატბორე მეურნეობები თქვენს მუნიციპალიტეტში. გაარკვიეთ, საშუალოდ რამდენი და რა სახის თევზს აწარმოებენ დაახლოებით; აღრიცხავენ თუ არა ისინი სატბორე მეურნეობებს NAITS-ის სისტემაში და თუ კი – როგორ? წარმოადგინეთ თქვენი მუშაობისა და მოძიებული ინფორმაციის ამსახველი პრეზენტაცია.
3. გაარკვიეთ, თევზის მოვლის შემთხვევაში, რომელი დაავადებების წინააღმდეგ (სახეობების მიხედვით) უნდა გაამახვილონ ყურადღება ფერმერებმა და ჩაატარონ პრევენციული ან/და სამკურნალო ღონისძიებები და რა პერიოდებში? თუ შესაძლებელი იქნება, მიიღეთ

მონაწილეობა მკურნალობის/პრევენციის პროცესში, ფერმერებთან ერთად (სასურველია გადაიღოთ ვიდეო ან/და სურათები)

4. გაარკვიეთ, რომელი სახეობის თევზები ჰყავთ და რა სახის პროდუქტებს აწარმოებენ თქვენს მუნიციპალიტეტში, რა სასარგებლო თვისებებს ატარებენ ისინი? როგორ ხდება ამ პროდუქციის მიღება/წარმოება? მოამზადეთ პრეზენტაცია და დაურთეთ ვიზუალური მასალა.
5. გაარკვიეთ, რა სახის საკვებს იყენებენ თევზის სახეობების მიხედვით და როგორი გარემოა საჭირო ამა თუ იმ თევზის სახეობისთვის.მოამზადეთ პრეზენტაცია და დაურთეთ ვიზუალური მასალა.
6. თევზებთან დაკავშირებული საფრთხეები დღევანდელ ეკოსისტემაში, მათი გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები: სანდო წყაროებზე დაყრდნობით, მოიძიეთ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია და წარმოადგინეთ პრეზენტაცია.
7. შესაძლებლობის ფარგლებში, გაარკვიეთ რა გზას გადის თევზი ან თევზის პროდუქტი სატბორე მეურნეობიდან ჩვენს სუფრამდე – სასურველია კონსულტაცია გაიაროთ თქვენი რაიონის სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან.

- **მომზადებული საკონკურსო მასალა ატვირთეთ forestry.ge-ზე და მოგვაწოდეთ მეილზე - vano.gioshvili@cenn.org. ამგვარად, ჩაერთვებით FAO-ს ქვეკონკურსში, ხოლო ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფარგლებში, მიიღებთ 40 ნერგს.**

- **ერთ ეკოკლუბს შეუძლია გამოგზავნოს რამდენიმე თემატური მასალა, ზემოთ გაწერილი დავალებების მიხედვით. თითოეულ სრულყოფილად შევსებულ დავალებაზე მიიღებთ 40 ნერგს. გთხოვთ, ხელოვნურად არ დაყოთ. მაგალითად, თუ ეწვიეთ 1 კონკრეტულ მეურნეობას და შესაბამისი ინფორმაცია მოაგროვეთ, გამოგზავნეთ ერთ აქტივობად. თუ სურვილი გექნებათ, შემდეგ სხვა საკითხი დაამუშავეთ.**

- **იმისთვის, რომ კონკურსში გამარჯვება მოიპოვოთ, რეკომენდებულია გამოიჩინოთ შემოქმედებითი მიდგომა, შედარებით რთული ერთი დავალება აირჩიოთ, ან, რამდენიმე ერთად, და, ამით გაზარდოთ თქვენი ნამუშევრის ხარიხსი და გამარჯვების შანსი.**

- **კონკურსის ფინალში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) გამოავლენს 2 გამარჯვებულ გუნდს, რომლებსაც დააჯილდოებს საჩუქრებით.**

** NAITS-ს ახორციელებს სუხსათის ეროვნული სააგენტო FAO-ს ტექნიკური მხარდაჭერითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.*